# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 327

„6" ნოემბერი 2020  წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა №22-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.12.013.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა №22-ში (საკადასტრო კოდი: №01.11.12.013.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 ოქტომბრის №20.1251.1547 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ილია ვეკუას ქუჩა №22-ში, მდებარე უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: №01.11.12.013.002), ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

ქ. თბილისი, ვეკუას ქუჩა №22

| № | სახელი, გვარი | პირადი ნომერი | ფართი (კვ.მ) | სართული | საკადასტრო კოდი |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბაჩუკი ჯოჯუა | 29001013758 | 37.82 | სართული 2 | 01.11.12.013.002.01.557 |
| 2 | გიორგი სამუშია | 19001053968 | 96.29 | სართული 2 | 01.11.12.013.002.01.553 |
| 3 | თათია ცეკვავა | 42001040328 | 57.84 | სართული 2 | 01.11.12.013.002.01.558 |
| 4 | თამარი უბილავა | 39001028358 | 30.98 | სართული 2 | 01.11.12.013.002.01.559 |
| 5 | ლევან ლაგვილავა | 48001020650 | 29.89 | სართული 2 | 01.11.12.013.002.01.560 |
| 6 | მერაბ ცერცვაძე | 01001021378 | 30.18 | სართული 2 | 01.11.12.013.002.01.556 |
| 7 | ნუკრი ყაზარაშვილი | 24001003472 | 108.8 | სართული 2 | 01.11.12.013.002.01.552 |